

**ოქმი N13-15**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსთა საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის**

2019 წელი, 31 ივლისი

ქ. ოზურგეთი

14<sup>00</sup> -15<sup>00</sup> საათი

**თავმჯდომარეობდნენ:** ლ. ბიგვავა, გ. კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

**ესწრებოდნენ:** კომისიათა წევრები - ვლ. ჩავლეშვილი, ბ. დოლიძე, ვლ. ლლონტი, რ. სკამკოჩაიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ჯ. თავართქილაძე, დ. მდინარაძე, ნ. ორაგველიძე, ლ. ნინიძე, გ. თოიძე, ლ. მგელაძე, ე. გორდელაძე, ვლ. ლლონტი, დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

**მომხსენებლები:** გ. კილაძე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სკვერების, პარკების, ინვენტარიზაციისა და სახელდების მდგომარეობის შესწავლის შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ. ბიგვავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ. ბიგვავა

**თანამომხსენებელი:** თ. ლომჯარია

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (კაპროვანი) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ. ბიგვავა

მომხსენებელმა გ. კილაძემ კომისიათა წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ“, აღნიშნა, რომ განსაკარგავი ქონება -მიწის ნაკვეთი-მდებარეობს ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში და უნდა მოხმარდეს საერთაშორისო მაგისტრალის მშენებლობას, საკრებულოსა და მერიში შემოსულია საგზაო დეპარტამენტის წერილი, სადაც ისინი ითხოვენ მუნიციპალიტეტმა თავი შეიკავოს მაგისტრალის საზღვრებში უძრავი ქონების გასხვისებაზე, გამომდინარე აქედან კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი პროექტის, საჯარო- ადმინისტრაციულ განხილვაზე დაყენების გარეშე, საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიათა წევრებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ, მიუხედავად გაფრთხილებისა, მეორეჯერ ჩააგდო საკრებულოს მიერ მოთხოვნილი მუნიციპალიტეტისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სკვერების, პარკების,ინვენტარიზაციისა და სახელდების მდგომარეობის შესწავლის შესახებ“ - მოისმინა-განხილვა და არ წარმოადგინა საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი და არც საკითხის მომზადება- შესწავლისათვის ვადის გაგრძელება მოუთხოვია, რაც კომისიათა წევრების აზრით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხრივ მუნიციპალიტეტის არჩევითი,საკანონმდებლო -კოლეგიალური ორგანოს-საკრებულოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლის ნიშნების მატარებელია და შესაბამის რეაგირებას ითხოვს. აღნიშნული ფაქტი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების და დებულებების უხეში დარღვევაა. მერი ვალდებულია გამოავლინოს პასუხისმგებელი პირთა წრე, რომელთაც დაუშვეს აღნიშნული გადაცდომები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები.

მართალია დღის წესრიგის მე-3-ე საკითხზე წარმოდგენილი იყო მომხსენებელი მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი თ.ლომჯარია, მაგრამ მისი მოხსენება ისეთი მწირი იყო, რომ კომისიათა წევრებმა საკითხი ჩაგდებულად მიიჩნიეს.

კომისიათა წევრებმა მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში(კაპროვანი) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა დამტკიცების მიზნით.

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :**

1.დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნა(თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში(კაპროვანი) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. მომზადდეს წერილი და საკრებულოს თავმჯდომარის ხელწერით გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს(კ.შარაშენიძე) მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების კომისიის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენისათვის პასუხსმგებელ პირებზე კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით.


ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია